კიდევ ერთი დამარცხება _ მეხუთე

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 23 ივლისი.

ოდნავი მოღრუბლულობა. 25 გრადუსი. 79 000 მაყურებელი.

ცსკა _ "დინამო" (თბილისი) 1:0 (1:0).

გოლი: ბასალიკი (9)

ცსკა: კუდასოვი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, დოროდნიხი, ბაგრიჩი, პოლიკარპოვი, დენისოვი, ბასალიკი, ფედოტოვი, კაზაკოვი, კაშტანოვი (მანოშინი - 74).

"დინამო": კოტრიკაძე, ჭელიძე, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, მაისურაძე, მესხი (ილიადი - 73).

მსაჯი ა. ზვერევი; გვერდითი მსაჯები ა. კიშკო და მილხი (ყველა ლენინგრადი).

დუბლიორები _ 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ. გოლი როგავა

გუშინდელი მატჩის წაგება თბილისის "დინამოსათვის" თითქოს შეუძლებელი იყო: ჩემპიონი სერიოზულად იუარესებდა ისედაც არამყარ სატურნირო მდგომარეობას, რომლის გამოსწორება მომავალში უკვე ძალზე დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული.

და მაინც, თბილისელები დამარცხდნენ. მეხუთედ.

არ შევუდგებით დინამოელთა წლევანდელ წარუმატებლობაზე საუბარს წერილში, რომელიც მხოლოდ ერთ მატჩს შეეხება: არმიელებთან მატჩს.

მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ჩემპიონის თავდასხმა არ გამოიყურებოდა ისე, როგორც ეს უნდა იყოს. იგი ხომ სსრ კავშირის ნაკრების შემტევი ხაზის სამ მეოთხედს შეადგენს. წარმოიდგინეთ: მეტრეველი, ბარქაია, მესხი, და არც ერთი გოლი! საოცარია.

შეიძლება ის გოლი არც გასულიყო, რომელიც მე-9 წუთზე აღმოჩნდა ჩემპიონთა კარში (ბასალიკის მიერ მოწოდებული ბურთი მოხვდა ცხოვრებოვს და ...). მაგრამ ერთი ცხადია: მისი გაქვითვა დარჩენილ 81 წუთში თბილისელებს უნდა მოეხერხებინათ.

ჩემპიონი დამარცხდა. სამწუხაროა, რომ წელს იგი ასე ცუდად თამაშობს.

ვ. პავლოვი.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

"ლელო", 24 ივლისი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან" **24.07.65**